თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3670509

ნომერი: AR1553982

თარიღი : 01.11.2017

გაცემის თარიღი : 09.11.2017

გაცნობის თარიღი : 09.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , 26 მაისის სახელობის მოედანი, სასტუმრო "აჭარა"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გუჯაბიძე პ/ნ 01024065193
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 2 ბ. 57

ორგანიზაცია:

- ავიატორ კოდი: 405076304

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, 26 მაისის სახელობის მოედანი, სასტუმრო "აჭარა"–ს მიმდებარედ, შპს "ჯი–ი–ემ დეველოპმენტს"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 01.10.13.032.005), არსებულ სარეკლამო კონსტრუქციაზე სარეკლამო ბანერის მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882017096922 10/02/2017წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.032.005; არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი, 24.02.2015 წ. ხელშკრულება ბიზნეს მართვაზე, მიწოდების ხელშეკრულება #01/001) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, 26 მაისის სახელობის მოედანი, სასტუმრო "აჭარა"–ს მიმდებარედ, შ.პ.ს. "ჯი–ი–ემ დეველოპმენტს"–ის კსაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #N 01.10.13.032.005), არსებულ სარეკლამო კონსტრუქციაზე სარეკლამო ბანერის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.